პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! დელეგადი გეთლ ულაძის

კომუნისტი

სსრკ. კ. პ. (ბ) სკნტ. და ტფ. კომიტეტების და სსრ. საკის ორგანო

ტელეფონები: №№ რედაქტორის—14—78, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

კვირა 20 მაისი 1934 წ. № 115 (3971)

დღეს ნომერში

— საფრანგეთ - გერმანიის ბრძოლა საარის ოლქისათვის.
— ამხ. შმიდტის დარბაზობა ამერიკის შეერთ. შტატების პრეზიდენტ რუზველტთან.
— ჰიტლერის ანტისაბჭოთა გამოსვლა „შრომის კონგრესზე.
— ძლიერდება მოძრაობა ამხ. ტელმანის განთავისუფლებისათვის.
— პოლონეთ - გერმანიის აგრ არიების დაახლოება.
— კოლექტიური წიგნი ჩელუსკინელთა გმირობის შესახებ.
— ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ ფოთლის ჩირქის ტრისის გეგმა ვადამდე 13 დღით ადრე შესრულა.
— მარგანეცის გამომუშავების გეგმა 17 მაისს შესრულდა 101,3 პროცენტით.

თამბაქოს გადარგვა

10 ივნისისათვის უნდა დამთავრდეს

ჩვენ კვლავ ვუბრუნდებით თამბაქოს სამუშაოთა მიმდინარეობას. უკანასკნელი შეჯამებული ცნობების ანალიზი, რომელიც თამბაქოს გადარგვის მიმდინარეობას შეეხება, არ იძლევა დამაკმაყოფილებელ სურათს. „კომუნისტის“ 15 მაისის ნომერში. მოგეყვადა რა ცნობები თამბაქოს სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ რესპუბლიკაში და ცალკე რაიონების მიხედვით, ჩვენ ვასკვნიდით, რომ არც ნერგის მომზადება და არც გადარგვის ტემპები არ უზრუნველყოფენ გეგმების ვადაზე შესრულებასთქო. ეს დასკვნა იყო გაკეთებული 10 მაისის ცნობების მიხედვით.

ახლა ჩვენს ხელთ არის ცნობები თამბაქოს სამუშაოთა მიმდინარეობის შესახებ 15 მაისისათვის. ისინი მოწმობენ, რომ თამბაქოს გადარგვის საქმეში არა თუ არ მომხდარა რაიმე მნიშვნელოვანი ვარდატეხა. არამედ ცალკე რაიონებში, განსაკუთრებით აფხაზეთში ჩვენ გვაქვს თამბაქოს სამუშაოთა შენელების ფაქტებიც წინა ხუთდღიურთან შედარებით.

თამბაქოს გადარგვა რესპუბლიკაში ყოველმიზეზს გარეშე უნდა დასრულდეს 10 ივნისამდე. უკანასკნელ ხუთდღიურში კი თამბაქოს გადარგვის მოლიანი გეგმა შესრულებული იქნა 8 პროცენტით. ცხადია მუშაობა თუ ამ ტემპებით გაგრძელდა, ჩვენ ვერ უზრუნველყოფთ თამბაქოს გეგმების ვადაზე შესრულებას. თამბაქოს გარადგვის რესპუბლიკური გეგმა შესრულებულია 19 პროცენტით. კოლმეურნეობების გეგმა შესრულებული აქვთ 18,9 პროცენტით. ერთპიროვნულ მეურნეობებს კი 1,1 პროცენტი.

როგორც ვხედავთ **თამბაქოს გეგმების შესრულების მხრივ ყველაზე უფრო დიდი ჩამორჩენა გვაქვს ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით.** ეს იმით აიხსნება, რომ მთელი რიგი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები. სოფლის საბჭოები და მიწგანები **არ უწევენ სისტემატიურ კონტროლსა და მეთვალყურეობას თამბაქოს გემების შესრულებას ერთპიროვნულ მეურნეობათა მიერ.** ამით აიხსნება მაგალითად ის ფაქტიც. რომ ქედის რაიონის ზოგიერთ ერთპიროვნულ მეურნეებს ჯერ დამთავრებული არა აქვთ თამბაქოსათვის ნიადაგის მომზადებაც კი. **გუდაუთის** რაიონში თამბაქოს გაშენების დავალება ერთპიროვნულ მეურნეობის შორის სწორად არ არის განაწილებული. იქ არის ისეთი ფაქტებიც, როდესაც **კულაკურ მეურნეობებს მიცემული არა აქვთ თამბაქოს გაშენების მტკიცე დავალებები.** მთელს გუდაუთის რაიონში თამბაქოს გაშენების დავალება მიცემული აქვს მხოლოდ 3 კულაკურ მეურნეობას და ეს მაშინ, როდესაც აღნიშნული რაიონის მარტო ერთ სოფელ ანუხვარში აღრიცხულია 5 კულაკური მეურნეობა. მთელს რაიონში კულაკებს თამბაქო 15 მაისამდე გადარგული ჰქონდა მხოლოდ 0,2 ჰექტარზე.

თამბაქოს გადარგვის დაგვიანებას განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოში გვალვებით ხსნიან. მაგრამ ეს არ არის სწორი, სარწყავი სისტემის საკაციონალური გამოყენებით თამბაქოს რაიონების უმრავლესობას აქვს საშუალება არ დაელოდოს წვიმებს და აწარმოოს ვადარგვა. მაგრამ ასე არ იქცევიან. წვიმის მოლოდინში სათამბაქოე მიწებას მორწყვას არ აწარმოებენ და ამრიგად დანაშაულებრივად აჭიანურებენ გადარგვას.

ეს, თამბაქოს გეგმების ვადაზე შეუსრულებლობასთან ერთად. იწვევს თამბაქოს ნერგის დაღუპვის მასიურ შემთხვევებს. **გუდაუთის** რაიონის ბომბორას სანერგეში ერთი მილიონამდე ნერგი გადასარგავათ მზათ იყო ჯერ კიდევ პირველი მაისისათვის. ამას ადგილობრივმა ორგანიზაციებმა არ მიაქციეს სათანადო ყურადღება. ეს უდიდესი სანერგე ამჟამად სერიოზულად არის დაზიანებული. იქ გადაბერების მიზეზით უკვე დაიღუპა 90 ათასამდე სანუკეთესო ხარისხის ნერგი. ნერგის დაოპავის შემთხვევებს ადგილი ჰქონდა **ზუგდიდის** და მთელ რიგ სხვა რაიონებშიც.

ეს მდგომარეობა გვავალებს **არ ვუცადოთ წვიმას. მაქსიმალურად გამოვიყენოთ სარწყავი ქსელი და მთელი ძალებით გავშალოთ გადარგვა.**

პირველ რიგში განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს კოლმეურნეობის მთელი შრომის უნარიანი წევრების გამოყვანას სამუშაოზე. თამბაქოს ძირითად რაიონში—აფხაზეთში კი სწორედ ამ მხრივ აქვს ადგილი შეუწყნარებელ უპასუხისმგებლობას. ადგილი აქვს სამუშაო დღეების გაცდენას.

ავიღოთ მაგალითისათვის სოხუმის რაიონის კოლმეურნეობა „ემბროს სოციალიზმის“. ამ **კოლმეურნეობაში ირიცხება 87 სავსებით შრომის უნარიანი მუშა - ხელი, აქედან სამუშაოზე გამოდის მხოლოდ 35—40 კაცი.** სამუშაო დღეების სისტემატურად გაცდენას ადგილი აქვს აგრეთვე კოლმეურნეობა „წითელ აფხაზეთში“ (გუდაუთის რაიონი). სწორედ ამიტომაა. რომ იქ თამბაქოს გადარგვა კუსნაბიჯით მიმდინარეობს და სამინდის თესვაც სამარცხვინოდ ჩამორჩენილია.

ამ მდგომარეობის მოთმენა ყოველად **შეუძლებელია.** საჭიროა დაუზოგავად დავარტყათ კულაკურ ელემენტებს, ზარმაცებს და შრომის დეზერტირებს, რომელნიც თავაშვებულებით, უტისციპლინობისა და ჰაოსის განწყობილებებს ამეფებენ კოლმეურნეობებში. ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ **კოლმეურნეობის თითეული წევრი თავის დროზე გამოდიოდეს თამბაქოს სამუშაოზე, სისტემატიურად ასრულებდეს გამომუშავების ნორმებს და იცავდეს სამუშაოთა ხარისხს.** ამისათვის კი მთელ რიგ სხვა ზომებთან ერთად (მასიური მუშაობა) **აუცილებელია** მთავრობის იმ დადგენილების მტკიცედ გატარება ცხოვრებაში, რომელიც ზარმაცებთან ბრძოლას შეეხება.

სოფლის საბჭოები თავიანთ ტერიტორიაზე მოვალენი არიან კონკრეტულად უხელმძღვანელონ თამბაქოს გეგმების შესრულებას და მიეღონ ყველა ზომა იმისათვის, რომ გადარგვის დავალება თითეული კოლმეურნეობამ შეასრულოს ვადაზე **ყოველმიზეზ გარეშე.**

„კომუნისტში“ დღეს ჩვეულებრივ საკავშირო სახკომსაბჭოს დადგენილება **მეთამბაქოე კონტრაქტანტებისათვის შეღავათების მინიჭების შესახებ.** ამ დადგენილების თანახმად ნედლი თამბაქოს კონტრაქტანტებს, რომლებმაც შეასრულეს საკონტრაქტაციო ვალდებულებანი სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების ხაზით, უფლება ეძლევათ, რესპუბლიკაში სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების დავალებათა შესრულების შემდეგ. თავისუფლად გაასაღონ ზედმეტი თამბაქო როგორც ფოთლად, ისე დაჭრილი.

ეს დადგენილება კიდევ უფრო ძლიერებს სტიმულს თამბაქოს გეგმების ვადაჭარბებით შესრულებისათვის. ამიტომ აღნიშნული დადგენილება ფართოდ უნდა გავაცნოთ კოლმეურნეებს, მწარმოელ ერთპიროვნულ მეურნეებს და გადავაქციოთ იგი თამბაქოს ვადარგვის ვადაზე შესრულების მძლავრ ბერკეტად.

მიმდინარე წელს საბრძოლო ამოცანად არის დასახული თამბაქოს მოსავლიანობის კიდევ უფრო აწევა და მისი ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესება. ამ ამოცანის შესრულება მოითხოვს მთელი ძალების გადასროლას თამბაქოს სამუშაოებზე, სარწყავი ქსელის მთლიანად გამოყენებისათვის, შრომის დისციპლინის განმტკიცებას კოლმეურნეობებში, კულაკური და სხვა კონტრრევოლუციონური ელემენტების წინააღმდეგობის აღკვეთას, მწარმოელ ერთპიროვნულ მეურნეებისადმი ხარკიტული ხელმძღვანელობის დაბმარებას და თამბაქოს გადარგვის აუცილებლად ვადაზე—10 ივნისისათვის დამთავრებას.

საფრანგეთ-გერმანიის გრძოლა

პლებისციტის იროგვლივ საარში

პარიზი, 19 მაისი. გაზეთები იტყობინებიან, რომ სამთა კომიტეტის ძირითადმა ალიოზიმ საარის ოლქში პლებისციტის ორგანიზაციის შესახებ ერთა ლიგის საბჭოს წარუდგინა ისეთი პროექტი, რომელზედაც „ეკო ღე პარის“ სიტყვით, აღტაქდილია გაერთიანებული გერმანიის ყველა თავზისა საკითხის გამო. მაგრამ ბარტუმ მიაღწია განცხადებას, რომ პლებისციტის თავისუფლებისა და უშიშროების გარანტიისათვის ახლანდელი პოლიცია და სასამართლოები საარში არ არის საკმარისი. გაზეთების სიტყვით, ალიზიმ აღუთქვა წარუდგინოს ლიგის საბჭოს მკრე მოხსენება (ადს).

საარის საკითხი ერთა ლიგის საბჭოს საიდუმლო სხდომაზე

ჟენევა, 19 მაისი. 16 მაისს შედგა ერთა ლიგის საბჭოს საიდუმლო სხდომა. ირჩეოდა საარის საკითხი. ხმების მიხედვით, საურავგეთი მოითხოვს, რომ გერმანიამ მოგვიკეს ფორმალური გარანტია, რომ ხელს აი ღებს რეპრისიებზე პლებისციტის დროს და მისი ჩატარების შემდეგ აღნიშნავენ, რომ ბარტუმ საბჭოს სხდომის შემდეგ განაცხადა, რომ სხდომამ ერთხელ კიდევ ცხადჰყო თუ რამდენად აუცილებელია ასეთი გარანტიები (ადს).

ამხ. შმიდტი და უშაკოვი ვაშინგტონში

ვაშინგტონი, 16 მაისი. საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა ამხ. **ტროიანოვსკიმ** ამხ. **შმიდტი და უშაკოვი** წარუდგინა საგარეო საქმეთა მინისტრს ხელს და აგრეთვე საგარეო საქმეთა და საზღვაო სამინისტროების წარმომადგენლებს (ადს).

თეთრ სახლში რუზველტმა ჟიილო. ამხ. შმიდტი

ვაშინგტონი, 18 მაისი. თეთრ სახლში **რუზველტმა** მიიღო ამხ. **შმიდტი** და მიულოცა მას გადარჩენა სამუშაოთა წარმატებათა.

საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანმა წარმომადგენლობამ ამხ. **შმიდტისა და უშაკოვის** პატივსაცემად გამართა დარბაზობა, რომელსაც დაესწრო რამდენიმე ასეული სტუმარი. მათ შორის მთავრობის გამოჩენილი მოღვაწეები და მეცნიერები, რომლებიც მხურვალედ მიესალმენ საბჭოთა მკვლევარებს. პრესა და პოლიტიკური სამეცნიერო წრეები დიდ ინტერესს იჩენენ არა მარტო ჩელუსკინელთა გადასარჩენად გმირული ორწინაძღებისადმი, არამედ პოლარული გზის დაწვისების დარგში პრაქტიკული მიღწევებისადმი. გაზეთები აქვიყნებენ ვრცელ ინტერვიუს ამხ. შმიდტან არქტიკაში საბჭოთა სამეცნიერო და ეკონომიური მუშაობის შესახებ“ (ადს).

საგერძნეთის კოლიციის თავსხედრგა

ათინა. 16 მაისი. დღეს ნავთსადგურის პოლიციამ პირეაში გაიხრიკა საბჭოთა გემი „ნოვოროსიისკი“. ოფიციალურად ჩხრეკას ასაბუთებენ იმით, რომ მგზავრებს შორის არის კონტრაბანდისტი, ნამდვილად, კი ჩხრეკის დროს ოფიცერმა, რომელიც ჩხრეკას ხელმძღვანელობდა, განაცხადა, რომ ისინი ეძებენ 8 ბერძენ გაქცეულ კომუნისტს. გემის და კომანდის გულდასმით გაჩხრეკის შემდეგ ნავთსადგურის ხელისუფალნი საბჭოთა საკონსულოს წარმომადგენლის მოთხოვნით იძულებულნი იყვნენ აღნიშნათ ოქმში. რომ ჩხრეკა უშედეგოდ დამთავრდა და მგზავრებსა და მუშაობს. ჩხრეკის ნაყოფი. მის შედეგში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩელუსკინელი, ყველა პილოტი, ბორტმექანიკოსები, მეზღვაურები, ჩოკოტის მუშაკები და სხვანაირი რაზმელები.

წიგნი უხვად ილუსტრირებული იქნება ფოტოსურათებით, ნახატებით, ნოვიკოვის, შაფრანის, მიკოშის და სხვ. ფოტოსურათებით.

ორგანიზატორულ მუშაობას ეწევიან ჩელუსკინელი ლიტერატორები სერგეი სემიონოვი, ბორის გორშოვი, ილია ბაბუშკი; პილოტების მხრით — კუზნეცოვი. ეფიგრომები, რომ ვლადივოსტოკში მოსვლისთვის გველევნება მთელი მასალა, გარდა კუბანშეთის და შმიდტის ხტატებისა.

კოლექტიური წიგნის გარდა, სერგეი სემიონოვი ამზადებს პიესას ჩელუსკინის ეპოპეის შესახებ, ბორშეთ ერთად, ბანაკის ცხოვრება და მუშაობა, მესამე — ჩელუსკინელთა გადარჩენა.

წიგნი იქნება კოლექტივის ნამდვილ შეფასების ნაყოფი. მის შედეგში მონაწილეობას მიიღებენ ყველა ჩელუსკინელი, ყველა პილოტი, ბორტმექანიკოსები, მეზღვაურები, ჩუკოტის მუშაკები და სხვანაირი რაზმელები.

წიგნი უხვად ილუსტრირებული იქნება

საბჭოთა კაპშირში

მოსკოვში ჩამოასვენეს გერმანელი აერონავიგატორების ცხედრები

მოსკოვი, 19 მაისი. 18 მაისს სპეციალური თვითმფრინავით მოსკოვში ჩამოასვენეს გერმანიის აერონავტების ნაწილი. „ბარი ფონ-ზიგსფელდის“ კატასტროფის დროს დაღუპული გერმანელი აერონავტების ინვინერი შრენკის და მეთვალყურე - მეტეოროლოგ მაზუტის ცხედრები.

დაღუპულ აერონავტების ცხედრებთან შესახვედრად ვიგზალზე ივიდენ: სხვადასხვა სამყაროს სახალხო კომისარიატის პასუხისმგებელი თანამშრომლები, მუშურ-გლეხური წითელი არმიის სამხედრო-საჰაერო ძალთა სამმართველოს, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარ სამმართველოს, ს. ს. რ. კ-ის თავდაცვაავიაქიმის ცენტრალურ საბჭოს წარმომადგენლები, გერმანიის საელჩოს მთელი შემადგენლობა საქმეთა რწმუნებულის ბ-ნ ფონ-ტჰალმანისკის მეთაურობით, ავსტრიის საელჩოს მრჩეველი ბ-ნი პახერა, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

პერონს მოადგა მატარებელი განსვენებული აერონავტების ცხედრებით. ორკესტრი ასრულებს სამგლოვიარო მარშს.

გერმანიის საელჩოს საქმეთა მმართველმა ბ-ნმა ფონ-ტვარდოვსკიმ წარმოთქვა გამოსათხოვარი სიტყვა. — მთავრობის და გერმანიის ხალხის სახელით — თქვა ბ-ნმა ფონ-ტვარდოვსკიმ, — გვინდა გამოვთქვა ჩვენი ახალგაზრდა გმირის კუბანეს, რომელთა ცხედრებსაც ახლა ვაცილებთ. გასწირეს მეცნიერებისათვის. მეცნიერების ყოველი ახალი წარმატება. ყოველი ახალი მიღწევა ერთნაირად ახარებს მთელ კაცობრიობას და მეცნიერებას არც ეროვნული საზღვრები აქვს და არც საზღვრები.

ამის შემდეგ ცხედრები ავტომობილებით გადაიყვანეს ავიაციის მოედანზე, სადაც ისინი ჩაასვენეს სპეციალურ ვაგონში, რომელიც ბერლინის მატარებელს მიაბეს.

ჰიტლერის ანტისაბჭოთა გამოსვლა

ბერლინი, 19 მაისი. გამოქვეყნებულია ჰიტლერის სიტყვა ცნობილ „შრომის კონგრესზე“. სხვათა შორის, მიუხედავად თავისი ცნობილი დეკლარაციებისა, სადაც ის ლაპარაკობდა „საბჭოთა კავშირთან მეგობრულ დამოკიდებულებაზე“, „შინაური საქმეებში ჩაურევლობაზე“, ჰიტლერმა განაცხადა მთელი რიგი ანტისაბჭოთა აზრები. ალბად, იმ მიზნით, რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო „კონგრესზე“ თავმოყრილ მეწარმეთათვის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის აბსოლუტური ერთგულება მათი ინტერესებისადმი, ჰიტლერმა სასტიკად უარყო სახელმწიფოს ჩარევა მეწარმეთა მუშაობაში, რადგან ეს უსათუოდ ატარებელ გაჭირვებას გამოიწვევდა, — და განაც ხადა. რომ „საბჭოთა კავშირს ყველაფერი მოაქვს კაპიტალისტური ქვეყნებიდან“ და, „რომ კომუნისტურ მოწყობილობას არ შეუძლია საკუთარ ფეხებზე დგომა“. შემდეგ ჰიტლერმა გაიმეორა ცნობილი ზღაპარი მილიონობით ხალხზე, რომელიც შიშველით დაიხოცა საბჭოთა კავშირში. (ადს).

გერმანიის პრესის კომენტარიები

ბერლინი. 18 მაისი. მთელი გერმანიის პრესა ხაზს უსვამს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომელიც გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის მძართველმა ორგანოებმა გერმანიის სუბსტრატოსტატ „ბარჩ ფიონ - ზიგსფელდის“ დაღუპვასთან დაკავშირებით.

გაზეთები აღნიშნავენ. რომ დაღუპულ მფრინავების გვამებს პატივი სცეს სამხედრო წესით და გააკეთეს ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად.

„ბერლინერ ფოლსცეიტუნგ“ სარედაქციო კომენტარიებში წერს: „აქ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დიდმა თანაგრძნობამ, რაც საბჭოთა მმართველმა წრეებმა და საბჭოთა საავიაციო ორგანიზაციებმა გამოიჩინეს გერმანიის სუბსტრატოსტატსა და მეცნიერების სამსახურში დაღუპულ აერონავტების მიმართ“. (ადს).

შეწყდა მიესალჯა 10 წლის საპატრონო სამუშაო

ბერლინი, 18 მაისი. ბერლინის სააგენტო სასამართლომ ერვინ შულცი სიკვდილით დამნაშავედ ცნო, რომ მან 21 მარტს ისროლა ხელის ყუმბარა უნტერ-დენ-ლინდენის ქუჩაზე. შულცის მიესაჯეს 10 წლის საპატრონო სამუშაო. გაზეთების ცნობით, შულც და გადაჭრით აღსდგენ ტელმანის დასაცავად არ დაუშვან მისი საქმის გადაცემა განსაკუთრებულ ტრიბუნალზე და დაიხსნან იგი სიკვდილისგან.

„დეილი უორკერის“ მოწყობა

ლონდონი, 18 მაისი. „დეილი უორკერი“ მოუწოდებს ყველა მუშათა ორგანიზაციას მიმართონ გერმანიის წარმომადგენლობას ლონდონში და მოითხოვონ ტელმანის განთავისუფლება. გაზეთი მოუწოდებს მუშებს ასეთივე პროტესტებით მიმართონ გერმანიის საკონსულოებს მთელ ქვეყანაში. (ადს).

ვიხსნათ ამხ. ტელმანი ფაშისტ ჯალათებისაგან

პარიზი, 17 მაისი. „პრავდას“ საკუთარი კორესპონდენტი იუწყება: „ლუმანიტე“ აქვეყნებს გერმანიის იუსტიციის სამინისტროს პასუხისმგებელი მოხელის განცხადებას იმის შესახებ, რომ ტელმანის ზედი გადაწყვეტილი იქნება 10 დღის განმავლობაში. პროვინციალური ნაციონალ - სოციალისტური პრესა იუწყება, რომ ტელმანს მალე დასჯიან. ტელმანის საქმე განხილული იქნება ახალ ტრიბუნალში, რომელიც რაიმე შეუძლებლობას ხდის.

ტელმანის განთავისუფლებისათვის მებრძოლი კომიტეტი მოუწოდებს ყველა მშრომელს დაუყოვნებლივ და გადაჭრით აღსდგენ ტელმანის დასაცავად არ დაუშვან მისი საქმის გადაცემა განსაკუთრებულ ტრიბუნალზე და დაიხსნან იგი სიკვდილისგან.

„დეილი უორკერის“ მოწყობა

ლონდონი, 18 მაისი. „დეილი უორკერი“ მოუწოდებს ყველა მუშათა ორგანიზაციას მიმართონ გერმანიის საელჩოს ლონდონში და მოითხოვონ ტელმანის განთავისუფლება. გაზეთი მოუწოდებს მუშებს ასეთივე პროტესტებით მიმართონ გერმანიის საკონსულოებს მთელ ქვეყანაში. (ადს).

ჰიტლერის ანტისაბჭოთა გამოსვლა

ბერლინი, 19 მაისი. გამოქვეყნებულია ჰიტლერის სიტყვა ცნობილ „შრომის კონგრესზე“. სხვათა შორის, მიუხედავად თავისი ცნობილი დეკლარაციებისა, სადაც ის ლაპარაკობდა „საბჭოთა კავშირთან მეგობრულ დამოკიდებულებაზე“, „შინაურ საქმეებში ჩაურევლობაზე“, ჰიტლერმა განაცხადა მთელი რიგი ანტისაბჭოთა აზრები. ალბად, იმ მიზნით, რომ უფრო დამაჯერებელი ყოფილიყო „კონგრესზე“ თავმოყრილ მეწარმეთათვის ნაციონალ-სოციალისტური პარტიის აბსოლუტური ერთგულება მათი ინტერესებისადმი, ჰიტლერმა სასტიკად უარყო სახელმწიფოს ჩარევა მეწარმეთა მუშაობაში, რადგან ეს უსათუოდ ატარებელ გაჭირვებას გამოიწვევდა, — და განაცხადა, რომ „საბჭოთა კავშირს ყველაფერი მოაქვს კაპიტალისტური ქვეყნებიდან“ და, „რომ კომუნისტურ მოწყობილობას არ შეუძლია საკუთარ ფეხებზე დგომა“. შემდეგ ჰიტლერმა გაიმეორა ცნობილი ზღაპარი მილიონობით ხალხზე, რომელიც შიშველით დაიხოცა საბჭოთა კავშირში. (ადს).

გერმანიის პრესის კომენტარიები

ბერლინი. 18 მაისი. მთელი გერმანიის პრესა ხაზს უსვამს განსაკუთრებულ ყურადღებას, რომელიც გამოიჩინეს საბჭოთა კავშირის მძართველმა ორგანოებმა გერმანიის სუბსტრატოსტატ „ბარჩ ფიონ - ზიგსფელდის“ დაღუპვასთან დაკავშირებით.

გაზეთები აღნიშნავენ. რომ დაღუპულ მფრინავების გვამებს პატივი სცეს სამხედრო წესით და გააკეთეს ყველაფერი, რაც კი შესაძლებელი იყო კატასტროფის მიზეზების გამოსარკვევად.

„ბერლინერ ფოლსცეიტუნგ“ სარედაქციო კომენტარიებში წერს: „აქ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა დიდმა თანაგრძნობამ, რაც საბჭოთა მმართველმა წრეებმა და საბჭოთა საავიაციო ორგანიზაციებმა გამოიჩინეს გერმანიის სუბსტრატოსტატსა და მეცნიერების სამსახურში დაღუპულ აერონავტების მიმართ“. (ადს).

შეწყდა მიესაჯა 10 წლის საპატრონო სამუშაო

ბერლინი, 18 მაისი. ბერლინის სააგენტო სასამართლომ ერვინ შულცი სიკვდილით დამნაშავედ ცნო, რომ მან 21 მარტს ისროლა ხელის ყუმბარა უნტერ-დენ-ლინდენის ქუჩაზე. შულცის მიესაჯეს 10 წლის საპატრონო სამუშაო. გაზეთების ცნობით, შულცის სასამართლო გამოძიების დასრულებულ შულცი, თავმჯდომარის დაჟინებითი, მუქარის შემცველი შეკითხვების შედეგად, ხელ-ახლა „გამოტყდა“. რომ მან ისროლა ეს ხელის ყუმბარა“. (ადს).

საბჭოთა კავშირის ახალი შეღავათები მეთამბაქოე კონტრაქტანტებს

რომელებაც თამბაქოს კონტრაქტაციის დარგში შეასრულეს თავიანთი ვალდებულებანი, ზედმეტი თამბაქოს რომელიც ფოთლათ, ისე დაჭრილი რეალიზაციის უფლების მინიჭების შე სახებ

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისარიატმა საბჭო ადგენს:

საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს 1933 წლის 7 თებერვლის და 1934 წლის 25 იანვრის დაგენილებების №№ 152 და 182 განსავითარებლად ნედლეული თამბაქოს კონტრაქტანტებს, რომლებმაც შეასრულეს თავიანთი სახელმწიფოსათვის თამბაქოს ჩაბარების ხაზით, უფლება მიეცეთ, საერთოდ რესპუბლიკაში, მხარეში, ოლქში ჩაბარებულ სახელმწიფო გეგმის შესრულების შემდეგ თავისუფლად გაასაღონ ზედმეტი თამბაქო როგორც ფოთლად, ისე დაჭრილი.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე: ი. მეულაუკი.

თესვა საქართველოში 15 მაისისათვის

თესვის გეგმის შესრულებაში სამარცხვინოდ ჩამორჩა აფხაზეთი

საქართველოს მიწამდომქმედების კომისარიატის ცნობით, 15 მაისისათვის ყველა საგაზაფხულო კულტურა საქართველოში დათესილი იყო 585,356 ჰექტარზე. რაც რესპუბლიკური გეგმის 91.3 პროცენტს შეადგენს. საბჭოთა მეურნეობებს, დათესილი აქვთ 19.156 ჰექტარი—გეგმის 119.3 პროცენტი, კოლმეურნეობებს 191,475 ჰექტარი გეგმის 94 პროცენტი და ერთპიროვნულ მეურნეებს 374,725 ჰექტარი გეგმის 89,7 პროცენტი. ხორბლის თესვის გეგმა შესრულებულია 112 პროცენტით, ქერის 103 პროც. სიმინდის 92 პროცენტით; საკვები ბალახის 62 პროცენტით და სხვა.

თესვის გეგმა 15 მაისისათვის მთლიანად შესრულებული ქონდა საქართველოს 28 რაიონს და სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქს.

საქართველოს კომუნისტური პარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის, და საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ დაწესებულ ვადების მიხედვით საგაზაფხულო კულტურების თესვა საქართველოში უნდა დამთავრებულიყო 5—10 მაისისათვის. ეს დავალება **არ არის შესრულებული.** თესვაში ჩამორჩენილი არიან განსაკუთრებით დასავლეთ საქართველოს რაიონები ასე მაგალითად **ლანჩხუთის** რაიონს კიდევ, დასათესი აქვს 1700 ჰექტარი. **ჩხოროწყუსას** 1800 ჰექტარი. **ოზურგეთის** 2300 ჰექტარი, **ზუგდიდისას** 3100 ჰექტ. **აბაშისას** 1600 ჰექტ. და სხვა.

თესვის (განსაკუთრებით სიმინდის) გეგმების შესრულების მხრივ ყველაზე უფრო ცუდ მდგომარეობაა აფხაზეთში. თესვის გეგმა აფხაზეთში შესრულებულია მხოლოდ 35,6 პროცენტით. **აფხაზეთს კიდევ დასათესი აქვს 20 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი.**

ეს სამარცხვინო ჩამორჩენა თესვის გეგმების შესრულებაში უნდა აიხსნას იმით, რომ აფხაზეთის ხელმძღვანელი პარტიული. საბჭოთა და სამიწადმოქმედო ორგანიზაციები ლიკაში, მხარეში, ოლქში ჩაბარებას სახელმწიფო გეგმის შესრულების შემდეგ თავისუფლად გაასაღონ ზედმეტი თამბაქო როგორც ფოთლად, ისე დაჭრილი.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: ვ. კუიბიშევი.

საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველის მოადგილე: ი. მეულაუკი.

სოციალისტური მინდვრების ინჟინრები

ცნობილია, თუ რას წარმოადგენდა აგრონომი რევოლუციამდე. ინდივიდუალური მეურნეობრიობის წყობაზე სოფლის კონსერვატიზმი, წარმოშობილი ცრურმა საკუთრებით და საუკუნოებრივი ექსპლოატაციით, წინასწარ განსაზღვრავდენ აგრონომის ადგილს. იგი მარტოხელა იყო, კულტურ-ტრეგერი იყო, ქვეყრა დღეობით უჩვენებდა ბუნდოვან სურათებს, მრავალმინდვრიანი სისტემის აგიტაციას ეწეოდა სოფლის ინტელიგენციის წრეში, რომელიც მასავით ბედით დაჩაგრული იყო, მწარედ უჩიოდა თავის უმწეობას და მარტოობას. აგრონომის როლი ძირფესვიანად შეიცვალა მას შემდეგ, რაც დაიბრო მიწის ცრურმა საკუთრება, რაც გლეხთა მასები დაღგნ მთლიანი კოლექტივიზაციის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის გზაზე. აგრონომიამ პირველად იგრძნო თუ რა უდიდესი ადგილი ეთმობა მას სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, რა მკვეთრი პერსპექტივები მოიცლის მას, რა გრანდიოზულია შესაძლებლობანი ნამდვილი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

მსხვილმა მეურნეობამ დიდი მოთხოვნილება წამოაყენა კულტურულ ტექნიკურ ძალებზე. სწრაფად იზრდება აგრონომების, აგროტექნიკოსების, ვეტერინარი ექიმების რიცხვი. სოფლის მეურნეობის ხელთ პრომლემა კიდევ უფრო ვამწვავებდა მას შემდეგ, რაც სოფლის მეურნეობის დარგში აღმოჩენილ იქნა მავნებლობა, რომელსაც ახორციელებდა თავისი ფესვებით კულაკური მეურნეობასთან დაკავშირებული და მომაკვდავი კლასის გაფთრებული წინააღმდეგობის გამომხატველი ჯგუფი ძველი აგრონომებისა.

ჩაიანოვშჩინასთან და კონდრატევშჩინასთან ბრძოლაში განმტკიცდა საბჭოთა აგრონომიული სკოლა, მან შეისრუტა თავისში პროლეტარიატისა და კოლმეურნე გლეხობის საუკეთესო წარმომადგენლები. სოფლად გაჩნდა ახალი ტიპის აგრონომი, რომელიც თავისუფალია წვრილი კერძო მეურნეობის ტრადიციებისაგან. რომელსაც შესწევს უნარი აქტიური მონაწილეობა მიიღოს სოციალისტურ წარმოებაში.

საკმარისია აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის მიწსახკომის სისტემაში მომუშავე 3 ათასი აგრონომიდან 62 პროც. დაამთავრა სპეციალური სკოლა 1929 წელს და შემდეგ წლებში. ყველა აგრონომის ნახევარზე მეტს შეადგენენ ახალგაზრდები—30 წლის ასაკამდე. თითქმის ასეთივე სურათია ზოოტექნიკოსებისა და ვეტერინარი ექიმების შემადგენლობის მხრივაც. სოფლის მეურნეობაში ტექნიკური ინტელიგენციის ძირითადი მასა ჯანღონით აღსავსე და მუშაობას მოწადინებული საბჭოთა ადამიანებია, უგულებელყოფენ აგროტექნიკოსებს და უგულებელყოფენ მეცნიერებისა და მეცნიერული ხელმძღვანელობის როლს ეკონომიაში.

დაბოლოს. აგრონომის მუშაობის პირობათა შესახებ. პირველ ყოვლისა აგრონომს უნდა მივცეთ რაიონში მიმოსვლის საშუალება. მიმოსვლისათვის საჭიროა ცხენი და ეს არის არა ფუფუნება, არამედ მუშაობის ელემენტარული პირობა. იმას კი არ უნდა უცდიდეს აგრონომი, რომ ვინმე მოვა და წამოყვანსო, არამედ საჭიროა სწრაფად გადასვლა-გადმოსვლა, იქ გაჩერა, სადაც ამას საქმე მოითხოვს. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს უკრაინის სახკომსაბჭოს და უკ. კ. ჰ. (ბ) ც. კის დადგენილება იმის შესახებ, რათა რაიონულმა აღმასკომებმა, სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა და სახმეთა მეურნეობებმა გამოყონ ცხენები უშუალოდ რაიონების საბჭოთა მეურნეობების და სამანქანო-სატრაქტორო სადგურების აგრონომების, ზოოტექნიკოსების და ვეტექმების განკარგულებაში. დროა ბოლო მოეღოს იმ უმსგავსობას, რომელთაც ადგილი აქვს ცალკეულ რაიონებში. როცა რამდენიმე თვეობით უგვიანებენ ხელფასს აგრონომებს, საშუალებას უსპობენ მათ გაიჩინონ საკუთარი ბოსტანი, პირუტყვი და ფრინველი.

მოკლედ რომ ვთქვათ, აგრონომის

პარტიულ თემაზე

სწორად დავრაზმოთ თანამგრძნობები

მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში (კამენობროდის სამანქანო-სატრაქტორო სადგური, ჩრდილოეთ კავკასია) მოწყობილია თანამგრძნობთა ჯგუფი 23 კაცის რაოდენობით. ჯგუფი საკმაოდ დიდია და სამართლიანად იბურობს ყურადღებას. როგორ არის ეს ჯგუფი მოწყობილი და ვისგან შედგება იგი? ჯგუფი სანახევროდ შედგება ისეთი პიონერებისაგან, რომელნიც მუშაობენ არა ველზე, არა წარმოებაში, არამედ სტანიცაში და სხვადასხვა დაწესებულებაში. აქ არის მოანგარიშეც, აღმზრდელი ქალიც, დიასახლისიც, მეკუმპავეც და სხვ.

სანტერესოა ისიც, რომ ყველა ეს 23 კაცი მიღებულია ერთბაშად, ბიოლეტად, სიით, უეჭველია, თანამგრძნობთა ჯგუფის ორგანიზაციის დროს აქ დამყარებულია შეცდომები ერთ ერთი, დააჩქარეს ჯგუფის ორგანიზაცია და ეს საქმე კამპანიად გადააქციეს. აქედან წარმოდგება მეორე შეცდომაც: ყურადღება არ მიაქციეს მისაღებთა ხარისხს. ღებულობდენ ყველა მსურველს. არ ყოფილა აუცილებელი შერჩევა.

დამახასიათებელია, რომ ამ კოლმეურნეობას 32 ტრაქტორისტ კოლმეურნიდან ჯგუფში არავინ არის შესული. განა ეს გარემოება არ ლაპარაკობს პოლიტიკური მუშაობის სისტემაზე ბრიგადებში? კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია რომ საუკეთესო საწარმოო მუშაობასთან ღრმა სისტემატიურ მუშაობას ატარებდეს, უეჭველია, თანამგრძნობთა ჯგუფში უფრო მეტი ყოველისა დამკვრელები შევიდოდენ. მაგრამ ეს არ მომხდარა.

ხოლო რა იყო ამდენად? იყო რაოდენობის გარეგნული, მოჩვენებითი ეფექტის მიშველა გამოდეგა. როგორც ჩანს, კამენობროდის სამანქანო-სატრაქტორო სადგურში მყოფმა კომუნისტებმა ცუდად გაითვალისწინეს პარტიის მიერ არაერთხელ დაგმობილი დამახინჯებანი პარტიაში მიღების დროს.

თანამგრძნობთა ჯგუფები მოწოდებული არიან გააძლიერონ პარტიის ხელმძღვანელი როლი, ამიტომ თანამგრძნობთა ჯგუფებში მიიღებიან საუკეთესო ადამიანები, რომელნიც თავმოყრილი არიან ჩვენი პარტიის ირგვლივ და რომელთაც საქმით დაამტკიცეს ერთგულება პარტიისადმი, მიიღებიან უწინარეს ყოვლისა წარმოებაში მომუშავე ადამიანები, და თანამგრძნობთა ჯგუფები თავის როლს მხოლოდ მაშინ შეასრულებენ, თუ მოხდება ამ ჯგუფებში შემსვლელ პირთა მკაცრი და გულდასმით შერჩევა და გულდასმით იქნება მოფიქრებული ჰაეული მუშაობა თანამგრძნობთა ჯგუფების ორგანიზაციის ხაზით.

კამპანიურობის მეთოდები კიდევ უფრო ძლიერ იჩენს თავის სოფლის მრავალი პარტიული ორგანიზაციის მუშაობაში. და აი ჩრდილოეთ კავკასიის ერთ-ერთ კოლმეურნეობაში ჩატარეს არასებითად კამპანია თანამგრძნობთა ჯგუფის ორგანიზაციისათვის. კოლმეურნეობების (ალეკსეევის სახელობის, „ეკონომი“, „კრასნი ხლებორობი“ და სხვ.) ჯგუფთა ორგანიზატორებად გამოყოფდენ ხოლმე არა საკმაოდ შემოწმებულ ადამიანებს, რის გამო ამ კოლმეურნეობათა თითქმის ყველა ჯგუფმა შეწყვიტა მუშაობა და თანამგრძნობნი „უპატრონონი“ აღმოჩნდენ.

VII პარტახნის წინად საქ. კ.პ. (ბ) ც.კ.-მა, მოისმინა რა ზოგიერთ რაიკომის მოხსენებანი პირველადი და რაიონული ორგანიზაციების გარდაქმნის შესახებ, მოგვცა მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი მითითებანი. ც.კ.-მი წინადადება მოგვკა, რომ, მე-17 ყრილობის დადგინილებათა საფუძველზე თანამგრძნობთა ჯგუფის ორგანიზაციის დროს, საქმე არ იქნას დაყვანილი ფორმალურ მომენტებამდე (ანკეტების შევსება, მოწმობების გაცემა), არამედ გავმალოთ მუშაობა არსებითად: თანამგრძნობთა მარქსისტულ-ლენინური აიზრდა, მათი ჩაბმა პარტიის და მთავრობის გადაწყვეტილებათა აქტიური შესრულებაში.

მხოლოდ ც. კ.-ის ამ მითითებათა განხორციელების გზით, მხოლოდ ორგანიზატორთა გულდასმით შერჩევის გზით შეიძლება სწორად მოვაწყოთ თანამგრძნობთა ჯგუფების მუშაობა.

(„პრავდა“)

ხუთი კონკრეტული ამოცანა

(„კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

რიონი მნიშვნელოვან სავეგეტაციო სადგურად ითვლება. სადგურის გამოკვლევამ ცხადყო, რომ მისი მუშაობის მაჩვენებლები. საკმაოდ კარგია. გეგმით გათვალისწინებული 8,6 საათის ნაცვლად ვაგონების საშუალო მოცდენა აქ უდრიდა: იანვარში—10,1 საათს, თებერვალში — 5,5, მარტში—6,9, ხოლო აპრილის პირველ დეკადაში 6,8. მუშაობის გაუმჯობესებით სადგურმა გაზარდა სამანევრო კოეფიციენტი და გეგმით გათვალისწინებულ 9 ვაგონ - საათის ნაცვლად მიაღწია: იანვარში — 10 ვაგონ-საათს, თებერვალში — 11,2, მარტში—13,3, ხოლო აპრილის პირველ დეკადაში — 17,5.

ციფრები უფლებას გვაძლევს ვიფიქროთ, რომ სადგურ რიონის კოლექტივი კარგად მუშაობს; წინასწარ შთაბეჭდილებას ამართლებს სინამდვილის გაცნობაც. სადგურის უფროსი ამხ. **ტრიფონ ცაგურია**, საქმის საუკეთესოდ მცოდნე და მტკიცე დისციპლინის მქონე ხელმძღვანელია, რომელმაც ადგილობრივი კომუნისტებისა და საუკეთესო დამკვრელი ამხანაგების (**ენდელაძე, კუხიანიძე, ფხაკაძე, ძნელაძე, სინურიძე, ყუბანეიშვილი, გეგიძე, თვალაშვილი** და სხვ.). დახმარებით მიაღწია დისციპლინის საგრძნობ განმტკიცებას, ძალების სწორ განაწილებას და ამის შედეგად სადგურის მუშაობის საგრძნობ გაუმჯობესებას.

მაგრამ ეს ჯერ ნიშნავს, თითქოს სადგურ რიონში ყველაფერი რიგზე იყოს. მიუხედავად მრავალი მიღწევისა, სადგურს აქვს რამოდენიმე ნაკლი, რომელთა გამოსწორება სადგურის სამკუთხედმა გადაუდებელ ამოცანად უნდა დასახოს. ეს ნაკლოვანებანი შემდეგია:

მიუხედავად საგრძნობი გაუმჯობესებისა, სადგურის ტერიტორიაზე, მყოფი ისრები ჯერ კიდევ ხშირად მოწყობილი არაა, 27 ისრიდან განათებულია 19. ზოგ ისარზე მოშვებულია ჭანჭიკები, არ დგას ფარადი მინები. ისარი № 14 და 19 სრულიად დაკეტილია, № 2, 4 და 16-ზე მაჩვენებლები არ დგას. ორ გიდრავლურ კოლონაზე მაშუქები არ არის, ხოლო დანარჩენ ორზე არის, მაგრამ ჭუჭყიანია. **პირველი, რასაც ყურადღება უნდა მიაქციოს სადგურის ადმინისტრაციამ, ესაა ისრების სანიმუშო მდგომარეობაში ჩაყენება**; ამისათვის საჭიროა ჭუთაისის სადგურის დახმარება რიონში, სათანადო სპეციალისტის გაგზავნით.

რიონის სადგურში გამოყენებული არ არის აღრიცხვის კოკაძისეული მეთოდი, რაზედაც რაიონის სამმართველოსა და პოლიტგანყოფილების დირექტივა დროზე მიიღეს. სადგურში თუმცა სწარმოებს ცვლათა მუშაობის აღრიცხვა, მაგრამ შედეგების სავარაუდოდ გამოქვეყნება და მუშებისათვის გაცნობა არ ხდება.

ყოველგვარ დამგეგმარებლობას მოკლებულია სადგურის უფროსის ამხ. **ცაგურიას** განცხადება იმის შესახებ, რომ სადგურს არა აქვს საშუალება, შეიძინოს დაფა ყოველდღიური ცნობების მოსათავსებლად. ეს არც ისე ძნელი საქმეა; სადგურ რიონის მუშაკებმა სრულად უნდა გაატარონ კანონიერი მეთოდი, თუ უნდათ მიაღწიონ სათანადო ეფექტს.

სადგურში არ გამოდის კედლის გაზეთი, ნაკლებად ვრცელდება ცენტრალური და სარკინიგზო პრესა, უცხო ხილია კინო და წარმოდგენები, ხოლო ადგილკომი (თავმჯდ. — **ქორიძე**) ამ ნაკლთა გამოსწორებისათვის ნაკლებად იბრძვის. **რიონის სადგურის ხელმძღვანელებმა უახლოეს დროში უნდა მიაღწიონ მუშათა შორის მასობრივ - კულტურული მუშაობის გადაჭრით გაუმჯობესებას.**

სადგურის სამკუთხედის წინაშე დგას მუშათა მომარაგების გაუმჯობესების; პირველ ხარჯზე, დამწარე მეურნეობის მოწყობის გადაუდებელი ამოცანა; სადგურ რიონის მუშა - მოსამსახურეებს, მიუხედავად დიდი სურვილისა, ასეთი არა აქვთ და არც ეშენებათ, თუ ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოები გამოიჩენენ საკმარ ყურადღებ

სოცშეჯიბრება ჩაის საგჭოთა მეურნეობებს შორის

ჩაქვს საბჭოთა მეურნეობის მუშები ხელს აწერენ ოჩხამურელ დამკვრელებთან სოცშეჯიბრებაში ჩაბმის ხელშეკრულებას პირობას.

საწარმოო თათბირი ჩოხატაურის ფაბრიკაში ჩაის ხარისხზე

(ჩვენი სპეც. კორესპონდენტისაგან)

გასულ წელს ჩოხატაურის ფაბრიკა ამუშავებდა ჩაის ნახევარ ფაბრიკატს. წელს კი ფაბრიკამ უნდა მოგვცეს მზა ჩაი. ნახევარი ფაბრიკატის ხარისხის განსაზღვრისას მხედველობაშია მისაღები ჩაის არომატი, გემო და ნაყენის თვისება. მიუხედავად დავალებისა შარშან ამ ფაბრიკას სრულიადაც არ გამოუშვია პირველი ხარისხის ჩაის ნახევარი ფაბრიკატი.

გასული წლის გაკვეთილებიდან ფაბრიკის პარტიულ, სამეურნეო და პროფესიულ ორგანიზაციებს სათანადო დასკვნა უნდა გამოეტანათ ყოველმხრივ მომზადებული შეხვედროდენ ჩაის გადამუშავებას, მაგრამ ასე არ მოხდა. ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ ფაბრიკას გასულ წელთან შედარებით. ახლა უფრო ცუდი მდგომარეობა აქვს. ამას მოწმობს პირველი დეკადის მუშაობის შედეგები.

ჩაის ნახევარი ფაბრიკატის გადამუშავება არ ხერხდება იმის გამო, რომ დღემდე ფაბრიკაში დადგმული არაა დამხარისხებელი მანქანები. ამრიგად მიმდინარე წლის საწარმოო დავალება მზა ჩაის გამომუშავების შესახებ ფაბრიკის ხელმძღვანელ მუშაკებისა და „საჩაის“ დაუდევრობის შედეგად აშკარად ჩაშლის საფრთხის წინაშეა. ფაბრიკის მოუმზადებლობის და გამოშვებული ჩაის ცუდი ხარისხის ნამდვილი მიზეზები გამოაშკარავდა „კომუნისტის“ კორესპონდენტის ინიციატივით ფაბრიკაში მოწვეულ მუშებისა და სპეციალისტების საწარმოო თათბირზე.

თათბირზე გამოირკვა, რომ ჩაის ნახევარი ფაბრიკატის დაბალი ხარისხის მიზეზია ის, რომ ჩაის ჭკნობა, გრეხვა და ფერმენტაცია (დუღილი) არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. საჭკნობ სამჭრობში ხშირად ჩაის მწვანე ფოთოლს ვადაზე მეტხანს აჩერებენ. ეს კი იწვევს როლერებში (ჩაის ფოთლის საგრეხი მანქანა) ამ ზედმეტად გადამჭნარი ფოთლის დამტვრევას.

როლერები არ იწმინდება სველი ტილოთი ჩაის ფოთლის ყოველი ახალი პარტიის ჩაყრის წინ; სისტემატიურად არ სუფთავდება საგრეხი მანქანის ბადეები; საფერმენტაციო ოთახში არ არის მოწყობილი სინესტისა და ტემპერატურის საზომი ხელსაწყოები. ხელშეკრულების ძალით „საჩაის“ სამტრედიის სამონტაჟო კანტორა ვალდებული იყო ფაბრიკაში გაეყვანა წყალსადენის მილები. ეს დავალება დღემდე არ შეუსრულებიათ. ფაბრიკაში არაა დაცული სისუფთავე.

თათბირზე აღინიშნა აგრეთვე, რომ მიმღები პუნქტები ღებულობენ არაწესიერად მოკრეფილ ფოთოლს, რაც უარყოფითად მოქმედებს ჩაის გადამუშავებაზე.

ჩაის მზა პროდუქციის მოცემას აბრკოლებს ის, რომ „საჩაიმ“ დავიანებით გადმოუგზავნა ფაბრიკას დამხარისხებელი მანქანები, ხოლო დირექციამ დღემდე ვერ უზრუნველყო ამ მანქანების გადმოზიდვა სად. სოფლებიდან დამხარისხებელი საამქროს მოუწყობლობის გამო ბრკოლდება ნახევარი ფაბრიკატის ჩაის დროულად გადამუშავება. ეს კი იწვევს ჩაის ხარისხის დაცემას.

საწარმოო თათბირზე დამკვრელმა მუშებმა და სპეციალისტებმა, შემოიტანეს მთელი რიგი პრაქტიკული წინადადებანი.

მუშების და სპეციალისტების წინადადებით **მიმღებმა პუნქტებმა არ უნდა დაუშვან ჩაის მწვანე ფოთლის დაუხარისხებლად გადაგზავნა ფაბრიკაში. ფაბრიკის ცენტრალურმა მიმღებმა საამქროს მტკიცე კონტროლი უნდა დააწესოს ამ საქმეშიო; ფაბრიკის დირექციამ საფერმენტაციო საამქროში დაკვრიოი წესით უნდა გაიყვანოს წყალსადენის მილები, მოაწყოს შიგ სინესტისა და ტემპერატურის გასაზომი ხელსაწყოები,** როლერები უნდა იწმინდებოდეს სველი ტილოთი მწვანე ფოთლის ჩაყრის წინ და სხვ.

ჩოხატაურის ფაბრიკის მუშების და სპეციალისტების ეს საქმიანი წინადადებები გამოადგება და ცხოვრებაში უნდა გაატაროს ,იდეც არა მარტო ჩოხატაურის, არამედ ჩაის ყველა ფაბრიკის ხელმძღვანელმა მუშაკმა.

ჩოხატაურის ჩაის ფაბრიკა, ისე როგორც დანარჩენი ფაბრიკები — მოწყობილია ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით და მათ ყველა საშუალება აქვთ მოგვცენ ნედლი ჩაის გადამუშავების მაღალი მაჩვენებლები.

ახლა ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ ფაბრიკის ადგილობრივი ორგანიზაციები სათანადოდ დაეუფლონ ჩაის გადამუშავების ტექნიკას და ამრიგად მიაღწიონ მზა ჩაის ხარისხის გადაჭრით გაუმჯობესებას.

— თ. კუნჭულია.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა
წარმატებით ასრულებს სამუშაოთა გეგმებს

(ჩაქვი, „კომუნისტის“ სპეც. კორესპონდენტისაგან)

კრეფა.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა ბოლშევიკური ტემპით იბრძვის სოცშეჯიბრების იმ ვალდებულებათა შესასრულებლად, რომელიც მან იკისრა ოჩხამურელების მიშაოთვასთან დაკავშირებით.

მეურნეობა ძირითადად ჰკრეფს პირველ ხარისხის მწვანე ფოთოლს. რით მიაღწია მეურნეობამ ამ წარმატებას?

შრომის სწორი ორგანიზაციით. პლანტაციებზე განაწილებული და მიმაგრებულია ბრიგადები. ბრიგადას მისდევს 3—4 კაცი. ესენი არიან „კონტროლიორები“, რომელთა დანიშნულებაა დანაკარგებთან ბრძოლა მეთვალყურეობა იმაზე, რომ **ბუჩქებზე მოუკრეფავი არ დარჩეს არც ერთი დუყი,** (დუყი, ან ფულეში არის ამოყრილ ყლორტებში საძი, ან ორი ნაზი ფოთოლი კვირტით). ასეთი კონტროლით მიღწეულია პირველ ხარისხოვან მწვანე ფოთლის მოკრეფა და ჩაის ბუჩქის დაცვაც გადაბერებისაგან.

მაგრამ მარტო მოკრეფა არ წყვეტს საკითხს. მოკრეფილს **მოვლა და დროზე გადაზიდვა სჭირია.** ამ მიზნით მოწყობილია საჩრდილო ბელი ადგილი ბრეზენტებით. ყოველ უბანზე მიმაგრებულია ტრანსპორტი. **მოკრეფილ მწვანე ფოთოლს ყოველ ორ საათში ეზიდებიან ფაბრიკაში.**

აწეულია შრომის ნაყოფიერება. ყოველ მუშა-ქალს აქვს კალათი. **კალათი ავსების შემდეგ სასწორთან მიაქვს ამისათვის სპეციალურად გამოყოფილ დამტარებელს,** რომელიც მუშას აბარებს ქვითარს. ამრიგად **აღკვეთილია დროის მოცდენა და მოხსპობილია მწონავებთან რიგი.**

საუკეთესო მკრეფავებია: **ეპრაქსი ქემულარია,** — კრეფს 20—23 კილოს, **მეტია გვარჯალაძე**—კრეფს 20 კილოს, **მარია შირმაცავ**—კრეფს 20 კილოს. ესენი მუშაობენ მეორე რაიონში. პირველ რაიონში კი საუკეთესოდ ითვლება **მარო ლომთათიძის** ბრიგადა. ბრიგადის საუკეთესო წევრი **ელენა მურადოვა** კრეფს 35—40 კილოს. საერთოდ, კრეფის ნორმა არის 10—12 კილო.

აგროწესების დაცვისათვის მტკიცე კონტროლი და სისტემატიური მეთვალყურეობა უზრუნველყოფილია მთელ მეურნეობაში. ამ მხრივ აღსანიშნავია პირველ რაიონის აგრონომი **ელენა ლოლონტი.**

თოხნა.

პლანტაციის დამუშავებისათვის მათ მუშა ხელი არ ყოფნით. 12 მაისისათვის გათოხნილი ჰქონდათ 151 ჰექტარი, მაისის გეგმის 26,6 პროცენტი. მეურნეობას აუცილებლად სჭირია აჭაროლ-ჭკომის და ქობულეთის რაკომის დახმარება მასობრივი შათობის მოსაწყობად. მეურნეობის დირექტორი ამხ. **პროკოფი მეგრელიშვილი** და მისი მოადგილე აგრონომი ამხ. **არჩილ ახათიანი** აცხადებენ:

— 20 მაისამდე კრეფას მოვათავებთ და ყველა მუშას გადავისვრით თოხნაზეო.

გათოხნილ ფართობზე სანიმუშოდ დაცულია აგროწესები. რიგებში არ არის სარეველა ბალახის ნასახი, მოსუფთავებულ ფხვიერ მიწაზე მწკრივში ჩამდგარან ჩაის ჯანსაღი ბუჩქები და ასე გაფენილია პლანტაცია ბორცვიდან-ბორცვამდე.

მეურნეობის კეთილ-მოწყობა.

მიმდინარეობს ნაკვეთების გამოყოფა სხვადასხვა ციტრუსოვან ნარგავებისათვის მუშათა საცხოვრებელ ბინების წინ. შედგენილია სია 215 ცოლშვილიანი მუშის, რომელთაგან 180 უკვე მიღებული აქვს საბოსტნე ადგილები. 15,6 ჰექტარზე დათესილია მუშათა ინდივიდუალური ბოსტნები.

გარდა ამისა, თვით მეურნეობის კეთილმოწყობის მხრივ გადადგმულია პრაქტიკული ნაბიჯი. კანტორიდან სადგურამდე მთავარ გზაზე იგებება სუბტროპიკული და ციტრუსოვანი მცენარეები, კედება ხეივანი.

მუდმივ მუშათა კადრის გადიდების მიზნით გამოყოფილია ადგილი და იგება ცალკე საცხოვრებელი ბინები, ჯერ-ჯერობით გათვალისწინებულია 50 ბინის აგება. ეს იქნება დამოუკიდებელი ბინა ცოლშვილიან მუშებისათვის. მუშებს ექნებათ წინ თავიანთი ეზო მწვანე ნარგავებით.

ამგვარად, კრეფა, გათოხნა და მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება ჩაქვის საბჭოთა მეურნეობაში დამკვრელი ტემპებით მიმდინარეობს.

ჩაქველები ბოლშევიკურად იბრძვიან სოცშეჯიბრებაში სახელოვან გამარჯვებისათვის.

ვასო ჩაჩიბაია.

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობის დამკვრელი ქალი ამხ. **ანდრიადი,** რომელიც სისტემატურად გადაჭარბებით ასრულებს ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის ნორმებს

ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ
ჩაის ფოთლის კრეფის მაისის გეგმა შეასრულა ვადამდე 13 დღით ადრე

ჩაქვი (ტელეფონით საკუთარი კორესპონდენტისაგან). ჩაქვის საბჭოთა მეურნეობამ სოცშეჯიბრების გაჩაღებით, მუშებისა და აგროპერსონალის ენერგიული მუშაობით, **ჩაის მწვანე ფოთლის კრეფის მაისის გეგმა შეასრულა 18 მაისს ნაშუადღევის 3 საათზე.** (ვადაზე 13 დღით ადრე). მოკრეფილია 61.750 კილოგრამი მწვანე ფოთოლი. აქედან **98,5 პროცენტი პირველი ხარისხისაა. 8.000 კილოგრამი მოკრეფილ იქნა მექანიზირებული წესით.**

შეჯასრულებთ ოჩხამურელების პიროგებს

(ზალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობა)

ჩვენ ზალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის მუშები და აგრონერსონალი მთლიანად ვღებულობთ ოჩხამურიელ დამკვრელთა გამოწვევას, ვებრძვით მათთან სოცშეჯიბრებაში, თავს ვაცხადებთ დამკვრელად და დამატებით ვკისრულობთ შემდეგ ვალდებულებებს:

მტკიცედ დავიცავთ ჩაის მწვანე ფოთლის კრეფისა და პლანტაციის დამუშავების ვადებს:

მუდმივი მუშების კადრს—150 კაციდან გავადიდებთ 200 კაცამდე, მოვსპობთ ხელფასის გათანაბრებას, დამკვრელ მუშებისათვის მოვაწყობთ სასადილოს, მუშათა საცხოვრებელ ბინებს წინ.

ბრიგადებს მოვამაგრებთ ცალკე ნაკვეთებზე, დავაწესებთ გარდამავალ დროშას საუკეთესო ბრიგადებისათვის დამკვრელად.

გამოვიყენებთ მექანიზაციას იქ, რომ მოვაწყოთ 10.980 მუშა-ხელის ეკონომია.

ყოველ ღონეს ვიხმართ არ ჩამოვრჩეთ ოჩხამურელებს.

გ. დანელია, ო. ფიფია, ბ. თავდიშვილი, დ. ნაჭყებია, ა. გულორდავა, რ. პაპროსინა ქ. გვილავა, ჯ. ანიკინი.

მიხედეთ სამიქაოს

სამიქაოს სოფ. საბჭოს (აბაშის რ.). თ-რე ა ცოტაძე უხეშად ეპყრობა გლეხებს. მან გასულ წელს სრულიად უდანაშაულოდ სცემა **ალექსანდრე კახიძეს** და **სოკრატ ჯანგველაძეს.** მსმა საქციელმა უკმაყოფილება გამოიწვია გლეხებში, რომლებიც მოითხოვდენ უხეში თავმჯდომარის სათანადოდ დასჯას, მაგრამ ცოტაძისთვის პასუხი არაკის მოუთხოვიათ. ღარიბ გლეხს მახა მიჰაძეს გაკხარებული ხვნა-თესვის პერიოდში ჩამო ართვა გამწევი ძალა (ხარი) იმის გამო, რომ მას ხორცის სავალდებულო გადასახადი არ ჰქონდა ჩაბარებული. მიმდინარე წლის თებერვალში ცოტაძე შეიჭრა **ბესარიონ რუხაძის** ბინაში და ჩამოართვა ხორცის გადასახადად დასაფარავად 4 ნახ. ფუთი სიმინდი, იმ დროს, როდესაც ამხ. რუხაძეს ხორცის სავალდებულო გადასახადი უკვე ჩაბარებული ჰქონდა.

ღარიბმა გლეხმა ლადო კარანაძემ გ-წელს დაკლა ძროხა, რომ ხორცი გაეყიდა და აღე ბული ფულით ოჯახის საჭიროებისათვის სიმინდი შეეძინა. პ. ცოტაძემ ამ ხორცს დადო მტკიცე ნიხრი (კილოზე 2 მანეთი) და თითონაც შეიძინა 4 კილო. ამრიგად, მან კარანაძეს არ მისცა ხორცის თავისუფლად გაყიდვის საშუალება.

პ. ცოტაძე სოფ. საბჭოს საწყობიდან უანგარიშოდ ეზიდება და თავის ძმა-ბიჭებსაც უანგარიშოდ აძლევს ხორბლეულს. მაგალითად გასული წლის ზაფხულში პარტრაიკომის ინსტრუქტორს ამხ. მამია ბოკერაიას მან უკანონოდ მისცა 22 ფუთი სიმინდი, უჩარდა ცოტაძეს 20 ფუთი და სხვ. ამრიგად, ამხ. ცოტაძის უკანონო განკარგულებით, სოფ. საბჭოს საწყობიდან ხორბლეული სისტემატიურად გაქრა. საწყობის გამგე ამხ. კოლია ბაღათურიაც უსიტყვოდ ასრულებს ცოტაძის უკანონო განკარგულებებს.

ცოტაძემ მიითვისა „ზაგოტსკოტის“ აბაშის ფილიალის 1600 მანეთი, რაც დაადასტურა აღმასკომის მიერ გამოყოფილმა კომისიამ, მაგრამ ცოტაძისთვის პასუხი არც ამაზე მოუთხოვიათ.

კლუბის საღრმენებლო თანხიდან ამხ. ცოტაძემ პარტრაიკომის თანამშრომელს ამხ. გ. შენგელაიას ასჯერა 5 ათასი მანეთი, აქედან 1500 მანეთი თითონ მიითვისა, დანარჩენი თანხა კი სოფ. მოიდნის სკოლას გადასცა. ამრიგად, ცოტაძემ კლუბის მშენებლობა შეგნებულად ჩაშალა.

უკანონოდ მოქმედებს აგრეთვე იმავე სოფლის ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გ. კარანაძე. მან გასულ წელს 5 ათასი მანეთის სიმინდი გაჰყიდა კერძო ბაზარზე ,იმ დროს, როდესაც კოლმეურნეები უკიდურეს **გაჭირვებას** განიცდიდენ სიმინდის ნაკლებობის გამო. კოლმეურნეობის გამგეობამ გადამალა 250 ფუთი სოია, რომელიც აღმოჩენილ იქნა კოლმეურნეების მიერ. გამგეობის უყურადღებობით და მათი უპასუხისმგებლო მუშაობის შედეგად გასულ წელს დალპა 100 ფუთი სოია და 2 ათასი კონა ჩალა.

კოლმეურნეობას ჭათმის ფერმაში ჰყავდა 1500 ჭათამი, რომელიც გამგეობის უყურადღებობით მთლიანად დაიხოცა. გარდა ამისა, გასულ წელს, კოლმეურნეობის გამგეობას განკარგულებით დაკლულ იქნა 6 სული სრულიად ჯანსაღი ხარი, რომელთა სანაცვლო კოლმეურნეობას დღესაც არ შეუძენია.

ვფიქრობთ, რომ ხსენებულ კონკრეტულ დამნაშავეთა მიმართ აბაშის პარტრაიკომმა და სამ.-სატრ. სადგურის პოლიტგანყოფილება გადმკრელ ზომებს მიიღებენ.

ვლ. მიქაძე

წინ მიდის ლესიჩინის საბჭოთა მეურნეობა

(„საქჩაის“ ცნობებით)

ჩაის პლანტაციების პირველი თოხნა ჩაის საბჭოთა მეურნეობებმა 8.347 ჰექტარზე მაისის განმავლობაში უნდა ჩაატარონ. 15 მაისისათვის საბჭოთა მეურნეობებს ფაქტიურად გათოხნილი ჰქონდათ 2.212 ჰექტარი, შესრულებული იყო გეგმის მხოლოდ **26,5 პროც.** (10 მაისისათვის გათოხნილი იყო 1667,7 ჰექტარი გეგმის 18,7 პროც.).

მაისის მესამე ხუთდღიურში (ისევე როგორც მეორე ხუთდღიურში), პლანტაციების გათოხნის მხრივ ყველაზე წინ დგას **ლესაჩინეს საბჭოთა მეურნეობა. 15 მაისისათვის მას გათოხნილი ჰქონდა მთელი ფართობის 63,5 პროც.** პლანტაციების გათოხნა ჯარაგად მიმდინარეობს **კოლხრის** საბჭოთა მეურნეობაში, რომელსაც 10 მაისისთვის გათოხნილი ჰქონდა მთელი ფართობის 54,4 პროც. (10 მაისის შემდეგ მას ცნობა აღარ გადმოუგზავნია) ნატანების მეურნეობას 15 მაისისათვის გათოხნილი ჰქონდა მთელი ფართობის 52,9 პროც., ხოლო **დიდი ჭყონის** მეურნეობას — 5,09 პროც.

გალის ჩაის ფაბრიკის საჭკნობი საამქრო. სურათზე: ჩაის მწვანე ფოთლის შემოწმება

ჩამორჩენილი არიან **ლაითურის** (10 მაისისთვის გათოხნილი ჰქონდა მთელი ფართობის 4,6 პროც., **მესამე ხუთდღიურის** შედეგებზე ცნობა არ გამოუგზავნია), **ჯოლეჯიანის** (17,4 პროც.) **აჩიგვარის** (10 მაისისათვის 18 პროც.), **ნარაზენის** (10 მაისისთვის 18,7 პროც.), **ჩაქვის** (25,8 პროც.) და სხვ. საბჭოთა მეურნეობები.

მიუხედავად იმისა, რომ საბჭოთა მეურნეობების დიდი უმეტესობა ჩაბმულია ოჩხამურელ დამკვრელთა მიერ გამოცხადებულ სოცშეჯიბრში, ბრძოლა ჩაის სამუშაოთა ვადაზე შესრულებისათვის **ამ მეურნეობათა** მეტ ნაწილს ჯერ კიდევ არ გაუჩაღებია.

თამგაკოს დარგვა 15 მაისისათვის

(საქ. მიწსახკომის ცნობების მიხედვით)

15 მაისისათვის საქართველოში თამბაქო დარგული იყო **3.674** ჰექტარზე, რაც შეადგენს მთლიანი გეგმის 19 პროცენტს. აქედან (ადრეული ვადის გამოკლებით) კოლმეურნეობებს დარგული ჰქონდათ თამბაქო 1418 ჰექტ. (გეგმის 18,9 პროც.). ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობებს—121 ჰექტ., ანუ გეგმის 1,1 პროც.

განსაკუთრებით ჩამორჩენილია ერთპიროვნულ მეურნეობათა ხაზით. მაგ. 15 მაისისათვის **სიღნაღის** რაიონის ერთპიროვნულ მეურნეობებს თამბაქოს დარგვის გეგმა შესრულებული ჰქონდათ 1,5 პროცენტით ეს იმ დროს, როცა იმავე რაიონის კოლმეურნეობებს გეგმა შესრულებული აქვთ 21,8 პროცენტით.

15 მაისისათვის რაიონების მიხედვით თამბაქოს დარგვა ასეთ სურათს იძლევა:

რაიონები	დარგვა ჰექტ	პროც.
ლაგოდეხის	1081	33,7
ყვარელის	17	6,0
სიღნაღის	160	10,3
ზუგდიდის	72	24,0
ჩოხატაურის	78	14,1
წალენჯიხის	17	8,9
ჩხოროწყუს	31	14,7
აჭარისტანში	82	11,0
აფხაზეთში	2135	17,8

გურჯაანისა და ბორჩალოს რაიონებს, სადაც წელს პირველად ირგვება თამბაქო, 15 მაისისათვის რგვა არ ჰქონდათ დაწყებული.

შიმელე საროკერის გუშინდელი დღე
200.000

მოსკოვის სახელმწიფო ებრაულ თეატრში

მოსკოვის სახ. ებრ. თეატრის საფუძველი იყო თეატრალური სკოლა. ამ სკოლის მთავარი დამსახურება იყო —ახალი აქტიორის შექმნა და ძველი დრომოჭმული თეატრალური რეპერტუარის (ტრადიციების) უარყოფა; მაგრამ იმ პერიოდში, როდესაც ნიჭით აღსავსე ახალგაზრდა ებრაელმა აქტიორებმა მორიდებით უწოდეს თავის თავს თეატრი, სრულიად მოულოდნელად მოისურვეს იშვიათი ექსპერიმენტის გაკეთება: **ებრაული სცენის ევროპიული რეპერტუარით შეცვლა,** რის გამო მიმართეს მეტერლინკს.

აქ პირველად იგრძნო თეატრმა მასა და მაყურებელს შორის „მაკრატელი“ (1919 წ.) თეატრი დასცილდა მასას.

ახალი მაყურებელი ელოდა მისთვის გასაგებ სპექტაკლს. მოდიოდა ახალი ეპოქა, ახალი ადამიანი, ახალი ინტერესი. მაგრამ სამწუხაროდ, ებრაული საბჭოთა დრამატურგია იმ ხანებში ჯერ კიდევ არ არსებობდა და ამიტომ ბუნებრივად თეატრმა მიმართა ებრაელ კლასიკოსებს — შალომ ალეიხემს და მენდილე მოხერ სეფარიმს, რომლებიც იძლეოდნენ ულეველ საზრდოს ებრაელთა ყოფაცხოვრებიდან.

შალომ ალეიხემს უკავია თვალსაჩინო ადგილი მსოფლიო ლიტერატურაში (დაიბადა 1859 წელს, გარდაიცვალა 1916 წ.). იგი ავტორია მრავალრიცხოვანი მოთხრობების, რომანების და პიესების.

იშვიათი მხატვრული სიძლიერით და დამაჯერებლობით მოცემული აქვს შალომ ალეიხემს ებრაული წვრილ-ბურჟუაზიული მასების, მათი ყოფაცხოვრების და მსოფლმხედველობის შეჯახება კაპიტალისტურ ეკონომიკასთან, ახალ საზოგადოებრივ იდეოლოგიასთან, გზა პატრიარქალური დაბიდან — კაპიტალისტურ ქალაქამდე. იგი დასცინის წვრილ-ბურჟუაზიულ ადამიანს, რომელიც ყოველივეს ეგუება, მაგრამ ტაცებული იყო ავტორი. მაგ. შალომ ალეიხემი თავის კომედიაში დიდ ადგილს უთმობს შიმელე საროკერის ქალიშვილის ბეილკას ფსიქოლოგიურ განცდებს, ებრაელის ქალიშვილის ბედისწერას და სხვ. თეატრმა ყოველივე ამას შეგნებულად ხაზი გადაუსვა და სპექტაკლის ძირითად მომენტად შიმელე საროკერის სოციალური მოტივი—დააყენა.

შიმელე საროკერი — გეტტოს საცოდავი ხელოსანი.

შიმელე — რომელმაც მოიგო 200.000 მანეთი და ამ შემთხვევამ ჩააგდო სასაცილო და საცოდავ მდგომარეობაში.

შიმელე—სემიონ მაკარიჩი, რომელიც ოცნებობს ეხლა მდიდრულ ცხოვრებაზე და „სინემატოგრაფის“ მოწყობაზე, სადაც დღე და ღამე თავისი ცოლით ერნესტინა ეფიმოვნათი (ყოფილი ეტი-მენია) ივლის უფასოდ.

შიმელე—მდიდარი ოსკარ სოლომოვიჩის გვერდით.

შიმელე—ნაპოლეონი, მოუქნელი, გამდიდრებული, საცოდავი.

აი როგორია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი, ჩაინი დროის დიდი მსახიობი **მიხოელსი,** შიმელე საროკერის როლში.

მიხოელსის მომხიბლავ თამაშში შეერთებულია ლირიზმი და დრამატიზმი და ამავე დროს ყოველი მისი ექსტა, ისევე როგორც დანარჩენი სხვა მისი სცენიური საშუალებანი — უაღრესად სოციალურად განზოგადებულია.

ერთის შეხედვით — შიმელე საროკერის განსახიერება ადვილია იგი ხომ უაღრესად გავრცელებული და ნაცნობი ტიპია. მაგრამ შიმელემ, რომელმაც მოიგო 200.000 მანეთი ი შვიათი მოვლენაა. იგი ერთეულია, მაგრამ ამავე დროს იგი მიხოელსის თამაშში უდიდესი დამაჯერებლობით შედის განზოგადებული ხაზებით.

შიმელე — გამოსულია „უბრალო ხალხიდან“ — „ამხო“ („ყამება“ სიტყვა სიტყვით „შენი ერი“—იგულისხმება რუსული «простонародье»), რომელსაც იგი ზურგს აქცევს გამდიდრების ჟამს, მაგრამ უდიდესი სიყვარულით და სიხარულით უბრუნდება „ამხოს“ თავის გაკერტებულ ჯგუფს.

მიხოელსი და მისი ამხანაგები ჟესტისა და სიმღერა შეთავსებით, პირობითობით, მუსიკითა და ადამიანის სხეულის მოძრაობით, სივრცისა და დროის თავისებური სცენიური ფსიქოლოგიით უაღრესი სისადავით და ყოველგვარი ყალბი ტემპერამენტის გახდევნით ჰქმნიან ისეთ სცენიურ ეკვივალენტს, რომლის საშუალებითაც დრამატურგის იდეური მონაცემები — უდიდესი ძალით ეპყრობის აუდიტორიას.

აი კიდევ „აერის ხალხის“ ერთი ჩვეულებრივი პროფესია: „მაღხანი“ (მაშანკალი) რესპ. დამსახ. არტისტი **ზუსკინის** განსახიერებაში.



200.000. რუსპ. დამსახ. არტისტი ს. მიხოელსი. შ როროკერის როლში.



200.000 — პირველი აქტის ფინალი

საკმარისია შაღხანი სოლოვეიჩიკის პირველი გამოჩენა და თქვენ უკვე გრძნობთ, ვისთანაც გაქვთ საქმე. ზუსკინი კი არ შემოდის სცენაზე, არამედ იგი ჭოლგით ხელში ზევიდან მოფრინავს. ჰხედავთ მის კოსტუმს, მის გრიმს, მის მიხვრა მოხვრას და უკვე გრძნობთ, რომ ჰაერის კაცს მოაქვს „ჰაერის იდეა“. და ასე მთელი სპექტაკლის მანძილზე ზუსკინი — უაღრესად სოციალურად განზოგადებული ტიპი, უხერხემლო, საცოდავი და იმავე დროს სასაცილო ადამიანი.

ზუსკინისი თამაშში არის სიცოცხლე, სიხარული და თეატრალობის პრინციპის უდიდესი გამარჯვება.

მაგრამ **ზუსკინსა და მიხოელსს**— მოსკოვის სახელმწიფო ებრაული თეატრის ამ ორ უდიდეს მსახიობს ებრაული ცხოვრების ბრწყინვალე ცოდნა, ებრაული ფოლკლორის ბრწყინვალე ცოდნა, ებრაული ტიპების ბრწყინვალე ცოდნა, ებრაული ტრადიციების ბრწყინვალე ცოდნა, ებრაული კოლექტივი, რომელსაც სამართლიანად უჭირავს თავისი ღირსეული ადგილი საბჭოთა ქვეყნის საკითხებ თეატრებს შორის.

დაუვიწყარ სახეებს ჰქმნიან: **როტბა უმი** (ეტიმენია), **გერტნერი** (მოტლ), **ნეი** (კოპლ), და სხვები, რომლებიც ერთად საოცარი დინამიურობით ჰქმნიან უდიდესი სიხარულის სპექტაკლს.

კომპოზიტორი **ჰულვერის** შესანიშნავი მუსიკა — ეს არის სპექტაკლის ორგანიული ელემენტი, რომელსაც ემორჩილება სპექტაკლის უბრალო დეტალებიც კი. მუსიკა— ამ თეატრში—ეს არ არის ყურით მოთრევა ამბავი, როგორც ხშირად ემართება ზოგიერთ თეატრს, ეს არის მისი აუცილებელი და განუყრელი ნაწილი.

„200.000“ — ეს ძლიერი სპექტაკლია. იგი გაკეთებულია 11 წლის წინედ, მაგრამ იგი დღესაც მიდის მაყურებლამდე და არა მარტო ებრაელ მაყურებლამდე.

ამაშია თეატრის უდიდესი გამარჯვება.

და კიდევ: თეატრმა საბჭოთა კავშირის ფართო მშრომელი მასებისათვის გასაგები გახადა დიდი კლასიკოსი.

„200.000“ — ეს არის შიმელე საროკერის გუშინდელი დღე.

შალომ ალეიხემი გარდაიცვალა ოქტომბრის რევოლუციამდე ერთი წლით ადრე, ხოლო მისი დაუვიწყარი გმირები, გუშინდელი შიმელე, კოპლი, ბეილკა და სხვა ღარიბები და ხელოსნები — დღეს ამშვენებენ გამარჯვებული პროლეტარიატის მებრძოლ რიგებს.

გერცელ ბაასკოვი.

200.000. რუსპ. დამსახ. არტისტი ზუსკინი სოლოვეიჩიკის როლში

ბიბლიოგრაფია

მ. ვოლფსონი და გ. გაკი. ისტორიული მატერიალიზმი

1933 წელი, ქართული გამოცემა

წიგნის ავტორების მიზანს შეადგენს: „თეორიის პატრიოტულობის ლენინური პრინციპის თანახმად, მარქსიზმ-ლენინიზმის რევოლუციონური თეორიის დაცვაშორება სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკასა და პროლეტარიატის საერთაშორისო რევოლუციონური ბრძოლის უფლაზე აქტუალურ საკითხებთან“. (წინასიტყვაობა) —შეეცადოთ ცხადყოთ, თუ როგორ შეასრულეს ავტორებმა დაპირება.

ავტორების აზრით „პირველი და ძირითადი კარნი ყოველივე არსებულისა კანონია, რომელიც ვრცელდება ობიექტურ სამყაროს უკლებლივ ყველა მოვლენაზე და იგრეთვე ჩვენი ცხოვრების მოვლენებზედაც, არის მათი მოძრაობის და ცვლილების კანონი“. (გვ. 69) ასეთი განმარტება სწორია, მაგრამ საკითხი იმაშია, თუ რა შინაარს დებენ ავტორები ასეთ ფორმულირებაში? ავტორები, „მოძრაობის“ ცნებით აღნიშნავენ „იმ მოვლენას ბუნების სხეულებში, რომელიც მდგომარეობს ხარისხის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაწაცვლებაში, მის მიერ თავის მდგომარეობის ხვრცეულად გამოცვლაში“ (იქვე). აქ აუცილებლად მექანიკური მოძრაობა იგულისხმება. მექანიკური მოძრაობა კი არის მოძრაობა თვითმოძრაობის, თვითგანვითარების შინაგანი წინააღმდეგობის გარეშე მოძრაობა. ავტორების აზრით, ორმე ეს მოძრაობა უხვედრისაა და წარმოიდგინ ხეთ: „ბუნების ყველა სხეულს: მზე და ვარსკვლავები, ცდომილები და მათ თანამგზავრები, წყალი და ატმოსფერო, მცენარეული და ცხოველი ორგანიზმები,—ყველაფერი ეს **ემორჩილება ხვრცეში მოძრაობის ამ საყოველთაო (?) კანონის მოქმედებას**“. (გვ. 69 ხაზი ჩემია ე. ნ.)—რაიც დარჩა ამ „საყოველთაო“ კანონის გარეშე? არაფერი. მთელი ობიექტური გარემო თურმე ამ კანონს ემორჩილება. ასე განისაზღვრა ჩვენ ბუნებაში ვერ ვიპოვით ვერც ერთ სხეულს, ნივთიერების უმცირეს ნაწილაკებით დაწყებული და უზარმაზარი ზომის მასებით გათავებული, რომელიც ამ **საყოველთაო (?) ბუნებრივ კანონის** (?) ზეუწყვეტელ და დაუცხრომელ, **ხვრცეში მოძრაობის ნაკადს გარეშე იმყოფებოდეს**“ (?) გვ. 69 (ხაზი ჩემია).

რა იქნა საგნის თვითმოძრაობა? სადაა **განვითარება**?—განა საგნის სიცოცხლეში მექანიკური მოძრაობაა ყველაფერი?—აქ აშკარა მექანიკიზმია, ამასვე შორს არც **ერთი** მექანისტი არ წასულა მოძრაობის ახსნაში.

ავტორები უარყოფის უარყოფის კანონის არა სწორ გარკვევას იძლევიან, საიდანაც უშუალოდ ფორმალია და შინაარსის დამოკიდებულების არა სწორ ახსნამდე მიდიან. თუ დავუკვირდებით ავტორებს: „ყოველ **მუნებრივს ის მზგავსება აქვს წვრილ მწარმოებლებთან ყუთბილებასთან, რომ იქაც და აქაც საწარმოო საშუალებანი მწარმოებლებისაგან გამოცალკევებულნი არ არიან (?)**, — თავის შინაარსით კი კომუნისტი **უმაღლესი საფეხურია**“. (გვ. 86) (ჩინ. უმაღლესი ხაფეხური, წვრილმწარმოებელთა საზოგადოების? ე. ნ.) ნუთუ **ფორმით** კომუნიზმი წვრილ მწარმოებელთა საზოგადოებას ემთხვევა? ნუთუ მწარმოებელთა დამოკიდებულების ფორმა საწარმოო **საშუალებებთან კომუნიზმია იგივე**, რაც წვრილ მწარმოებელთა საზოგადოებაში?

დიალექტურ და ფორმალურ ლოგიკის დამოკიდებულების საკითხში ავტორები პლეხანოვისებურ თვალსაზრისზე დგანან. „როგორც გამოვიკვლიეთ კავშირი და ურთიერთ ფარდობა „ჰო-ჰო, არა-არა“ ფორმულით აზროვნებასა და „ჰოც-არაც“ ფორმულით აზროვნებას შორის? — ეს ურთიერთფარდობა ჩვენ შეგვიძლია ფორმულით გამოვხატოთ: **იხევე, როგორც უარობა (განხვეულება) არის მოძრაობის მომენტი, ასევე „ჰო-ჰო, არა-არა“ ფორმულით აზროვნება არის მომენტი დიალექტიკური აზროვნების**“, ამით ავტორებმა ფორმალური ლოგიკა დაიყვანეს დიალექტიკურ აზროვნების მომენტამდე. ამით ავტორებმა ფორმალური ლოგიკა ჩამოაშორეს მის ისტორიულ ნიადაგს, ფორმალური ლოგიკა ისტორიულად ყოველთვის ეფუძნებოდა ადამიანის პრაქტიკის ისტორიულად განვითარებულ ფორმებს, ადამიანის პრაქტიკის ისტორიულად განვითარებული ფორმები კი ეფუძნებოდა ადამიანის ისტორიულად განვითარებულ პრაქტიკას. ამ ფორმალური ლოგიკის ისტორიული ნიადაგის ავტორებმა ვერ დაინახეს, ამიტომ ვერც ფორმალური ლოგიკის ფარგლებში ვერ ახსნეს ის ფაქტი, რომ ადამიანის პრაქტიკის ისტორიულად განვითარებული ფორმები ეფუძნებოდა ადამიანის ისტორიულად განვითარებულ პრაქტიკას. ამიტომ ვერც ფორმალური ლოგიკის ფარგლებში ვერ ახსნეს ის ფაქტი, რომ ადამიანის პრაქტიკის ისტორიულად განვითარებული ფორმები ეფუძნებოდა ადამიანის ისტორიულად განვითარებულ პრაქტიკას. ამიტომ ვერც ფორმალური ლოგიკის ფარგლებში ვერ ახსნეს ის ფაქტი, რომ ადამიანის პრაქტიკის ისტორიულად განვითარებული ფორმები ეფუძნებოდა ადამიანის ისტორიულად განვითარებულ პრაქტიკას.

ავსტრიის შუცბუნდელეგების და გელგიის მუშათა დელეგაციები ტფილისში

სურათზე: დელეგაციების ჩამოსვლისას სადგურის წინა მოედანზე გამართული მიტინგი. საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. სტურუა ესალმება სტუმრებს. მარცხნივ — შუცბუნდელეგების წარმომადგენლები. მარჯვნივ — ...იჭკულტურ...ების რაზმი.

18 მაისს ტფილისში ჩამოვიდენ ავსტრიის შუცბუნდელეგებისა და გელგიის მუშათა დელეგაციები. თითეული დელეგაციები შეიდ-შვიდი კაცია. სადგურზე დელეგაციების შეხვედრ ტფილისის ფაბრიკ-ქარხნების მუშები, პროფკავშირების წარმომადგენლები, ფიზკულტურელები და პიონერები.

სტუმრების ჩამოსვლისას სადგურის წინ მოედანზე გაიმართა მიტინგი, რომელიც გახსნა საქ. პროფსაბჭოს თავმჯდომარემ ამხ. გ. სტურუამ. იგი სტუმრებს მიესალმა პარტიისა და ხელისუფლების სახელით და მოუწოდა მათ, რომ გულდასმით შეისწავლონ სოციალისტური მშენებლობის საქართველო და აქ მიღებული გამოცდილება გადასცენ ევროპის მუშათა კლასს.

ნათლის სახურავ მანქანათა ქარხნიდან მუშებისა და ინჟ.-ტექნიკოსთა სახელით სტუმრებს მიესალმა ამხ. **ახლაძე ზაზვლ**. ამხ. ვალერიან შალვლის პიონერთა ბაზიდან პიონერი **შოგრაძე** პოლიტემინგრანტე ბის სახელით—ამხ. **მილლერი**, კალინინის სახ. ქარხნის მუშების სახელით—ამხ. **მახარაშვილი** და ორჯონიკიძის სარემონტო ქარხნიდან—ამხ. **არეშიძე**.

ავსტრიის შუცბუნდელებას სახელით მიტინგზე სიპასუხო სიტყვა წარმოსთქვა— შუცბუნდელების დელეგაციის ხელმძღვანელმა — ამხ. **ვრიშერმა**.

— ჩვენ დავესწარცხდით,— სთქვა ორატორმა,—ფაშისტებთან ბარიკადებზე უთანასწორო ბრძოლაში დავმარცხდით სოც.-დემოკრატიული გამცემლების წყალობით სამი თვის წინ. ავსტრიის მუშათა კლასი ეშხადება უკანასკნელი და გადამწყვეტი ბრძოლისათვის და შორს ვართ იმ დროდან, როცა ავსტრიის კვლიერთმობილიზებული მოედნებით ავსტრიის საბჭოთა რესპუბლიკის ავიასუფლ მოქალქეებად.

ბელგიის მუშათა დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ბელგიის დელეგაციის მეთაურმა გ. დორფორმა.

— ჩვენ, ბელგიის მუშების წარმომადგენლებმა, რომ ვნახეთ ტფილისის ფაბრიკ-ქარხნების მუშები, პროფკავშირების წარმომადგენლები, ფიზკულტურელები და პიონერები.

ჩვენ ვნახეთ ბრძოლის ნიშნები, რომელიც გამოიწვია ფაშისტების ხელისუფლების მიერ.